ოქმი:**ო63.6322082001**
თარიღი:**23/03/2022**

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულო

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 4

2022 წელი

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 4

სამტრედიის მუნიციპალიტეტი 17 მარტი 2022 წელი

საკრებულოს შენობა

სამტრედია რესპუბლიკის ქ. N6

მიმდინარე წლის 17 მარტს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომა ჩატარდა ინფრასტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ტარიელ ცომაიას თავმჯდომარეობით.

სხდომას ესწრებოდა: ტ. ცომაია, ჯ. ახობაძე, პ. კოხრეიძე, მ. სირბილაძე, გ. ჯულაყიძე (ონლაინ ჩაერთო) ვ. ფოცხვერია, გ. გაგუა.

არ ესწრებოდა : ე. შუბლაძე, ქ. კუტალაძე, დ. ჯანელიძე, ა. თადუმაძე, ვ. სტურუა.

მოწვეული სტუმარი : სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი გია ხაჟალია.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მომართვა N 12-632207514-63 16.03.2022

წ.

/მომხსენებელი: ტ. ცომაია/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მომართვა N 12-63220755-63 16.03.2022 წ.

/მომხსენებელი: ტ. ცომაია/

3. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი N 04-63220341-63 03.02.2022 წ.

/მომხსენებელი: ტ. ცომაია/

4. ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის დავით ჯანელიძის განცხადება N 19/63220272-63 27.01.2022 წ.

/მომხსენებელი: ტ. ცომაია/

5. საკრებულოს წევრის პარტია ,,ლელოს" წარმომადგენლის გივი ჯულაყიძის განცხადება N 19/63220544-63 23.02. 2022 წ.

/მომხსენებელი: ტ. ცომაია/

6. საკრებულოს წევრის პარტია ,,ლელოს" წარმომადგენლის გივი ჯულაყიძის განცხადება N 19/63220281-63 28.01.2022 წ.

/მომხსენებელი: ტ. ცომაია/

7. გომის ადმინისტარციული ერთეულის მაჯორიტარი დეპუტატის ჯონი თევზაძის განცხადება 19/63220732-63 14.03.2022 და საკრებულოს წევრის პარტია ,,ლელოს" წარმომადგენლის გივი ჯულაყიძის განცხადება N 19/63220542-63 23.02.2022 წ.

/მომხსენებელი: ტ. ცომაია/

8. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომის წევრთა 7 ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> ინფრასტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ცომაიამ კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მომართვა N 12-632207514-63 16.03.2022 წ. მომართვიდან გამომდინარე , სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს და მიიღოს: ,,ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 7050.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.291) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ'' განკარგულება. განკარგულებიდან გამომდინარე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 15 მარტის №6/14326 მომართვისა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2022 წლის 11 მარტის №102 მიმართვის მიხედვით, ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 7050.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.291) იგეგმება საფეხბურთო ცენტრის მშენებლობა.

აღნიშნული მომართვების მიხედვით, ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 7050.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით №34.08.58.291), უნდა გადეცეს სახელმწიფოს

საკუთრებაში უსასყიდლოდ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და მიიღეს გადაწყვეტილება ზემოთ აღნიშნულ განკარგულებებთან დაკავშირებით მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს.

დაადგინეს: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ 7 ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> ინფრასტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ცომაიამ კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მომართვა N 12-63220755-63 16.03.2022 წ. მომართვიდან გამომდინარე , სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს და მიიღოს: ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი 17 პროექტის მოწონების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება. კერძოდ:

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)		პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა (რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
		სულ	მ.შ. თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	2	3	5	6	7
1	სოფ. ნაბაკევში ქუთათელაძის ქუჩის გაგრძელებაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა	83080	4154	აპრილი	სექტემბერი	78926
2	ქ. სამტრედიაში ,,ჯეოჰოსპიტალი“-ს მიმდებარე ავტოსადგომისა და ტროტუარის რეაბილიტაცია	27781	1390	აპრილი	სექტემბერი	26391
3	ქ. სამტრედიაში, ძმები კრავეიშვილების ქუჩაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა	56707	2836	აპრილი	სექტემბერი	53871
4	ქ. სამტრედიაში ფანჯიკიძის ქუჩის გაგრძელებაზე ასფალტ ბეტონის საფრის მოწყობა	19106	956	აპრილი	სექტემბერი	18150
5	ქ. სამტრედიაში, რობაქიძის ქუჩის მე-3 შესახვევში ა/ ბეტონის საფარის მოწყობა	24693	1235	აპრილი	სექტემბერი	23458
	საჯავახოს ადმინისტრაციულ					

6	ერთეულში N3 გზაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა	51352	2568	აპრილი	სექტემბერი	48784
7	ქ. სამტრედიაში, დუნდუას ქუჩაზე N1 და N1ა ეზოების მოასფალტება	55498	2775	აპრილი	სექტემბერი	52723
8	ქ. სამტრედიაში, აღმაშენებლის ქუჩაზე N314 ბინის ეზოს მოასფალტება	21623	1082	აპრილი	სექტემბერი	20541
9	ქ. სამტრედიაში, ნინოშვილის ქუჩის N53 ბინის ეზოს მოასფალტება	54411	2721	აპრილი	სექტემბერი	51690
10	ქ. სამტრედიაში, რუსთაველის N16 ბინის მიმდებარედ მოსაცდელებისათვის დეკორატიული ფილებისა და ბორდიურების მოწყობა	23974	1199	აპრილი	სექტემბერი	22775
11	ქ. სამტრედიაში, ნიკოლეიშვილის N155ა-ს მიმდებარედ ფეხბურთის სტადიონის რეაბილიტაცია	50169	2509	აპრილი	სექტემბერი	47660
12	ქ. სამტრედიაში, მანჯგალაძის ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაცია	77550	3878	აპრილი	სექტემბერი	73672
13	დაბა კულაშში მეგობრობის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია	108953	5448	აპრილი	სექტემბერი	103505
14	,,მომავლის პარკში“ საზოგადოებრივი ტუალეტის მოწყობა	35933	1797	აპრილი	სექტემბერი	34136
15	ქ. სამტრედიაში, ბახტაძისა და ჩეხოვის ქუჩის კვეთაზე მონოლითური ბეტონის სანიაღვრე არხის და ლითონის ცხაურის მოწყობა	4953	248	აპრილი	სექტემბერი	4705
16	ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩაზე რუსთაველის ქუჩის კვეთამდე არსებული არხის გაფართოება	25178	1259	აპრილი	სექტემბერი	23919
	ქ. სამტრედიაში,					

17	კალაძის ქუჩის ბოლოდან ქვესადგურის ტერიტორიის და გრიბოედოვის ქუჩის გავლით ე.წ. ,,გაცის“ შენობის მიმდებარედ მთავარ არხამდე ახალი წყალგამტვირთელი სანიაღვრე არხის მოწყობა	58054	2903	აპრილი	სექტემბერი	55151

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და მიიღეს გადაწყვეტილება მოწონებულ იქნას ზემოთ აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტები.

დაადგინეს: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ 7 ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u> ინფრასტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ცომაიამ კომისიის წევრებს გააცნო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი N 04-63220341-63 03.02.2022 წ. წერილიდან გამომდინარე საჯარო რეესტრი ითხოვს მოქალაქე ქეთევან ანდღულაძის (პ/ნ:01030040232) საკუთრებაში არსებული, იანეთის ადმინისტრაციულ ერთერულში მდებარე მიწის, უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით: N 34.07.43.209) მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელწოდების შესახებ ინფორმაციას.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი კომისიის სხდომაზე და გამოირკვა, რომ კომისია იანეთის ადმინისტრაციულ ერთერულში მდებარე მიწის, უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით: N 34.07.43.209) მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელწოდების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

დაადგინეს: კომისიამ 7 ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეწეროს წერილი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას, რათა მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურმა გაუწიოს დახმარება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მიაწოდოს ინფორმაცია ზემოთ აღნიშნული ქუჩის სახელწოდების შესახებ.

<u>დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით</u> ინფრასტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ცომაიამ კომისიის წევრებს გააცნო ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის დავით ჯანელიძის განცხადება N 19/63220272-63 27.01.2022 წ. განმცხადებელი ითხოვს აღმაშენებლის გამზირზე მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად, ცენტრალური გზის გასწვრივ არსებული არხებისა და საფეხმავლო ბილიკების მოწესრიგებას.

აღნიშნული განცხადება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ შეისწავლა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის დავით ჯანელიძისა და მოსახლეობის მოთხოვნა სამართლიანია და ნამდვილად მოსაწესრიგებელია აღმაშენებლის გამზირზე არსებული არხები და საფეხმავლო ბილიკები.

დაადგინეს: კომისიამ 7 ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეწეროს წერილი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას, რათა მერიის შესაბამისმა სამსახურმა გაითვალისწინოს ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატისა და აღმაშენებლის გამზირის მოსახლეობის მოთხოვნა.

<u>დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით</u> ინფრასტუქტურის საკითხთა კომისიის

თავმჯდომარემ ტარიელ ცომაიამ კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს წევრის პარტია ,,ლელოს“ წარმომადგენლის გივი ჯულაყიძის განცხადება N 19/63220544-63 23.02. 2022 წ. განცხადებიდან გამომდინარე განცხადებელი აღნიშნავს, რომ შეხვედრა ჰქონდა ფარნავაზისა და ახალგაზრდობის ქუჩის მოსახლეობასთან, რომელთა მოთხოვნაა, რომ სამტრედიაში, კერძოდ სალიანდაგო გზის ამ მონაკვეთში 2257კმ პკ 10, მოეწყოს ფეხით მოსიარულეთათვის სარკინიგზო გადასასვლელი, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ზემოთ აღნიშნული ქუჩების მოსახლეობის უსაფრთხო და სწრაფ გადაადგილებას ქალაქის ცენტრში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო გადაწყვეტილება, რომ შესაძლებელია საქართველოს რკინიგზასთან თანამშრომლობის გზით დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნა.

დაადგინეს: კომისიამ 7 ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეწეროს წერილი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას, რათა მერიის შესაბამისმა სამსახურებმა გაითვალისწინოს ფარნავაზისა და ახალგაზრდობის ქუჩის მოსახლეობის მოთხოვნა და საქართველოს რკინიგზის დეპარტამენთთან კონსულტაციების შედეგად, შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმაროს ზემოთ აღნიშნული ქუჩის მოსახლეობას.

<u>დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით</u> ინფრასტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ცომაიამ კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს წევრის პარტია ,,ლელოს“ წარმომადგენლის გივი ჯულაყიძის განცხადება N 19/63220281-63 28.01.2022 წ. განცხადებიდან გამომდინარე განმცხადებელი ითხოვს, რომ მერიამ საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიასთან ერთად შეისწავლოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურული პროექტები, ამ პროექტების მომზადების პერიდში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ შეისწავლა საკითხი და აღინიშნა, რომ არცერთი ინფრატრუქტურული პროექტის მოწონება თუ დამტკიცება არ ხდება კომისიაზე განხილვის გარეშე და რომ საკრებულოს ნებისმიერი წევრის გონივრული, დასაბუთებული ინიციატივის გათვალისწინება ხდება მერიის მხრიდან.

დაადგინეს: კომისიამ 7 ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეწროს წერილი სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, პარტია ,,ლელოს“ წარმომადგენელს, გივი ჯულაყიძეს, რომ მას თუ ექნება გონივრული, დასაბუთებული შენიშვნა რომელიმე ინფრასტრუქტურული პროექტის მიმართ, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია განიხილავს ამ შენიშვნას, რის შემდგომაც მიიღებს გადაწყვეტილებას პროექტის კორექტირებული ვარიანტის მერიაში დაბრუნებაზე ან ამ პროექტის საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში შეტანაზე.

<u>დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით</u> ინფრასტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ცომაიამ კომისიის წევრებს გააცნო გომის ადმინისტარციული ერთეულის მაჯორიტარი დეპუტატის ჯონი თევზაძის განცხადება 19/63220732-63 14.03.2022 და საკრებულოს წევრის პარტია ,,ლელოს“ წარმომადგენლის გივი ჯულაყიძის განცხადება N 19/63220542-63 23.02.2022 წ.

განმცხადებებში ორივე საკრეულოს წევრი ითხოვს სოფელ დაფნარში არსებული მე-15, მე-2-ე და მე-3-ე ქუჩების რეაბლიტაციას, რასაც აღნიშნული სოფლის მოსახლეობა ხელისმოწერით ადასტურებს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ განცხადებაზე და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოსახლეობის მოთხოვნა სამართლიამნია.

დაადგინეს: კომისიამ 7 ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეწეროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას, რათა მერიის შესაბამისმა სამსახურებმა გაითვალისწინოს მოსახლეობის მოთხოვნა

ტარიელ ცომაია

გამოყენებულია
კვალიფიციური